

ქ. ბათუმის ფიზიკა - მათემატიკის № 6 საჯარო სკოლა

სასკოლო გამოცდა ფიზიკაში

ტესტი №

კლასი - VII

თარიღი - 25. 06.2014 წელი

1. ჩაწერეთ SI სისტემის ერთეულებით: 21 სმ<sup>3</sup>, 34დმ<sup>3</sup>, 9მმ<sup>3</sup>, 74კმ<sup>3</sup>.
2. ორ ქალაქს შორის მანძილი 180 კმ-ია. ამ ქალაქებიდან ერთმანეთის შესახვედრად ერთდროულად დაიწყო მოძრაობა ორმა ავტომობილმა. პირველის სიჩქარე არის 40კმ/სთ, მეორისა კი - 20კმ/სთ. გაიგეთ მათი შეხვედრის დრო.
3. რა მანძილს გაივლის 30 წმ-ში 72 კმ/სთ სიჩქარით თანაბრად მოძრავი მატარებელი?
4. დაალაგეთ ნივთიერებების სიმკვრივეები ზრდის მიხედვით:  
500კგ/მ<sup>3</sup>, 400გ/დმ<sup>3</sup>, 600გ/ლ, 250000გ/სმ<sup>3</sup>.
5. გამოთვალეთ 0,5ტ. ნივთიერების სიმკვრივე, თუ მისი მოცულობაა 0,5 მ<sup>3</sup>.
6. რა მასა აქვს სხეულს, რომელსაც დედამიწა 29,4 ნ ძალით იზიდავს?
7. რა ძალით მიიზიდავს დედამიწა 3სმ<sup>3</sup> მოცულობის ვერცხლის მედალიონს? ( $g=10\text{ნ/კგ}$ ) თუ ვერცხლის სიმკვრივეა 10500კგ/მ<sup>3</sup>
8. რა ძალით უნდა ვიმოქმედოთ 40 ნ/მ სიხისტის ზამბარაზე , რომ იგი 5 სმ-ით შეიკუმშოს?
9. რას უდრის ხახუნის კოეფიციენტი როდესაც მუშები 500ნ ძალით თანაბრად მიასრიალებენ იატაკზე 100 კგ მასის ყუთს?
10. რა ფართობზე მოქმედებს 200 ნ ძალა, თუ ის 400 პა წნევას ქმნის?

